

მცოცავი ოკუპაციით დაზარალებული სოფლების კვლევა

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე



2016

მცოცავი ოკუპაციით
დაზარალებული სოფლების კვლევა

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე

ავტორი: არინა თავაქარაშვილი



აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის საქართველოში რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო არაკომერციული იურიდიული პირების გაერთიანება, რომლებიც მიზნად ისახავენ აღმოსავლეთ პარტნიორობის პრალის, ვარშავისა და ვილნიუსის სამიტების ერთობლივი დეკლარაციებითა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით და სხვა ერთობლივი ღონისძიებებით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ხელშეწყობას.

Eastern Partnership Civil Society Forum Georgian National Platform is an association of local and international non-commercial legal entities registered in Georgia, aiming to promote and implement the goals set by the Joint Declarations of the Prague, Warsaw and Vilnius Eastern Partnership Summits and the EU-Georgia Association Agreement of European Neighborhood Policy and other joint events.

ავტორი: არინა თავაქარაშვილი

რედაქტორი: ირინა კაკოიაშვილი

© აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

უკვე ოც წელზე მეტია, რუსეთი სხვადასხვა ფორმით ცდილობს საქართველოს დაპყრობას და მსოფლიო პოლიტიკური სივრციდან მისი სახელმწიფოებრიობის სრულ ამოშლას. ეს მიზანი XIX საუკუნის დასაწყისსა და XX საუკუნის 20-იან წლებში მიღწეულიც იქნა. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთის მხრიდან კვლავაც ადგილი აქვს საქართველოს აღდგენილი სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის მოშლის მცდელობას.

სახეზეა ეთნიკური კონფლიქტები ცხინვალსა და აფხაზეთში, ომი აფხაზეთში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია და კიდევ უფრო რთული, ომის შემდგომი 6-წლიანი პერიოდი — ე.წ. “ხელოვნური საზღვრები”, მავთულხლართები და მცოცავი ოკუპაცია, რომელიც ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობისთვის ომზე არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენს.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მზრუნველობის პაკეტით დახმარება უკვე დასრულებულია. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ (გაეროს ქალთა ფონდი, ფონდი “ტასო”, ცენტრი “აფხაზეთი”) განხორციელებული ერთჯერადი პროექტები დადებითი იმპულსია, მაგრამ ეკონომიკური განვითარების სასურველ შედეგს მაინც ვერ იძლევა (პროექტის დასრულებასთან ერთად პროცესიც სრულდება). სახელმწიფოს გრძელვადიანი პროექტები, სამწუხაროდ, არ ხორციელდება.

მოსახლეობა კი კვლავ საჭიროებს ხელშეწყობასა და დახმარებას — განსაკუთრებით, ახალგაზრდობა, რათა არ მოხდეს ამ სოფლების დაცლა ან მხოლოდ მოხუცების ამარა დარჩენა და რუსეთმა მცოცავი ოკუპაცია სწრაფად და ოპერატიულად არ განახორციელოს.

კვლევა განხორციელდა ე.წ. “საზღვრისპირა სოფლებში”. კვლევის ტერიტორიული საზღვრები მოიცავს გორისა და ქარელის რაიონებს.

კვლევისთვის გამოყენებულია შემთხვევითი ანალიზის მეთოდი, პირადი ვიზიტები და ჯგუფური შეხვედრები. კვლევისათვის საჭირო ინფორმაცია მივიღეთ უშუალოდ მოსახლეობისაგან, კერძოდ კი, საზოგადოების აქტიურ ადამიანებთან ურთიერთობის შედეგად.

გამოკითხვისას ყველაზე აქტიურ ფენას ქალები წარმოადგენდნენ, თუმცა მათ არც ადგილობრივ ხელისუფლებაზე და არც მიმდინარე პროცესებზე არანაირი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ.

რა ინვეს სოციალურ-ეკონომიკურ ნიჰილიზმს?

1. შენარჩუნებული მიწების დასამუშავებლად გლეხებს არა აქვთ სარწყავი წყალი;
2. ფაქტობრივად, არ არსებობს გაჭირვებით მონეული მოსავლის სარეალიზაციო ბაზარი;
3. გამყოფ ხაზს მიღმა აღმოჩნდა სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები და ხეხილი. სანაცვლოდ მოსახლეობას არანაირი კომპენსაცია არ მიუღია;
4. გაჩერებულია წარსულში საკმაოდ ეფექტურად მომუშავე წარმოებები;
5. მიწები საჯარო რეესტრში ჯერ კიდევ არ არის რეგისტრირებული, რაც ოკუპანტებს მის მიტაცებას უადვილებს.

მოსახლეობის ნიჰილიზმს ისიც ამძაფრებს, რომ პოლიტიკური პარტიები ადგილობრივ არჩევნებში კანდიდატებს მათთან უშუალო ურთიერთობის გარეშე ასახელებენ და, შესაბამისად, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, კანდიდატები მიიჩნევენ, რომ პასუხისმგებლები მხოლოდ პარტიისა და ხელისუფლების წინაშე არიან, ხოლო ამომრჩეველი თითქმის იგნორირებულია (თუ არ ჩავთვლით მასობრივ შეხვედრებში მონაწილეობას).

ჩატარებულმა კვლევამ თითოეული სოფლის ინდივიდუალური პრობლემები წარმოაჩინა და გვაჩვენა, რომ ადგილზე კვალიფიციურ მოხელეთა დეფიციტია. მმართველობითი ჯაჭვი მხოლოდ ვერტიკალზეა აგებული და არ ხორციელდება დეცენტრალიზაციის პრინციპები.

რეკომენდაციები

1. რეალური ვითარების გათვალისწინებით ოკუპანტი ქვეყნის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა აქტივობის გამო აუცილებელია გრძელვადიანი და ხანგრძლივ დროზე გათვლილი პროექტის შემუშავება: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და უსაფრთხოების კუთხით. საამისოდ სახელმწიფომ უნდა შექმნას სპეციალური მუდმივმოქმედი, პროფესიონალი და კვალიფიციური ადამიანების ჯგუფი, რომლის ფუნქცია იქნება მოვლენების და პროცესების დეტალური შესწავლა, ანალიზი და იმ გეგმის დადება, რომელიც ქვეყანას ამ მდგომარეობიდან გამოიყვანს და მოამზადებს იმ დროისათვის, როცა მოხდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.
2. სამოქალაქო აქტივობის გაზრდის თვალსაზრისით უნდა მოხდეს სახალხო დიპლომატიაზე მოტივირებული ადამიანების ხელშეწყობა სწავლებისა თუ ჩართულობის ფორმით.

-
3. ძალიან მნიშვნელოვანია ადგილზე კვალიფიციური კადრების მომზადება და მათი ჩართულობა მმართველობით რგოლში.
 4. მოსახლეობის რეგიონიდან გადინების შეჩერება უნდა მოხდეს ადგილზე მინინარმოების შექმნისა და განვითარების გზით.
 5. სტაბილურად და სისტემატურად აქ მაცხოვრებელი ახალგაზრდებისათვის არაფორმალური განათლების მიღების მიზნით უნდა მოეწყოს საზაფხულო და საზამთრო ბანაკები.
 6. რთულია, მაგრამ პოლიტიკურმა პარტიებმა არჩევნებში ამ მხრიდან უნდა ჩართონ ამ საზოგადოების აქტიური წევრები და მისაღები სახეები, რომლებიც ანგარიშვალდებულები იქნებიან არა მარტო პარტიის, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე.
 7. გრძელვადიანი პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს თითოეული სოფლისთვის ცალკეულ პროგრამას, რომელიც დაეფუძნება წარსულის გამოცდილებას, თუ რა აკავშირებდა ამ სოფელს ოკუპირებულ მხარესთან.
 8. სავაჭრო ურთიერთობის აღსადგენად უნდა მოეწყოს ბაზარი რომელიმე საზღვრისპირა სოფელში (წლების მანძილზე არსებობდა მეჯვრისხევის მინიბაზრობა, სადაც ორივე მხარე პროდუქციის ყიდვა-გაყიდვას და გაცვლას აწარმოებდა. ამან თავისი დადებითი შედეგი მოიტანა ომის დროს: თუ 90-იან წლებში მეჯვრისხეველებმა დაიცვეს ოსები, რეალობაა, რომ მოგვიანებით ოსურმა მხარემ შეძლო, არ მომხდარიყო ამ სოფლებში ნგრევა და სახლების დაწვა).
 9. ჯერ კიდევ იქითა მხარესთან არსებული მეგობრული, მეზობლური თუ ადამიანური ურთიერთობები როგორმე უნდა განახლდეს და ისევ გადაიზარდოს ორმხრივ საქმიან ურთიერთობებში.
 10. ძალიან მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი ქართული კულტურის ძეგლების გადარჩენაზე ზრუნვა, რათა მთლიანად არ გაქრეს ქართული ნიშანწყალი ოკუპირებულ ტერიტორიაზე.
 11. რამდენადაც არარეალურად უნდა მოგვეჩვენოს, ამ სოფლებში კვლევის საფუძველზე უნდა მოხდეს კულტურული და სამართლებრივი ცენტრების შექმნა.
 12. საბანკო სექტორმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ რამდენიმე ადგილას გაიხსნას მათი წარმომადგენლობა. ეს ხელს შეუწყობს ადგილზე ახალგაზრდების დასაქმებას და მოსახლეობის დარჩენას რეგიონში.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა
ტელ.: +995 32 293 11 28
მობ.: +995 570 10 44 90; +995 570 10 15 28
ელ-ფოსტა: np@ei-lat.ge
ვებგვერდი: eap-csf.ge